852ე/13-585
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 1 დეკემბერი 1997 №154 (519) ფასი 30 თეთრი

ქუთაისი
„გივი კილაძე"
29 ნოემბერი

**ტორპედო 4:0 მეტალურგი**

**ტორპედო:** ასლანაძე, ხვადაგიანი, თუ-რმანიძე, შეყრილაძე, მალლაკელიძე (გე-ნაძე 70), შ. ხუჯაძე (შენგელია 46), კვე-ტენაძე, კ. მეტრეველი, ჩხეტიანი (ვა-ჩიბერაძე 60), მეგრელაძე, იონანიძე
**მეტალურგი:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, სილაგაძე, ბიჭიაშვილი, ა. ლურსმანაშ-ვილი, ზირაქაძე, სებისკვერაძე, ჩოხე-ლი, ლობჟანიძე (სოხაძე 67), კარანაძე (ქერაშვილი 75), ლ. ალადაშვილი
1:0 იონანიძე (53), 2:0 მეგრელაძე (65), 3:0 მეტრეველი (71), 4:0 კვეტენაძე (74)
**გაფრთხილება:** ლობჟანიძე, შენგელია
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

## გასახდელში დარჩენოდათ

მეცხრე ტურის ეს მატჩი თვენახევრის წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ მაშინ „მეტალურგი" ქუთაისში არ ჩამოვიდა, ფედერაციამ კი აპატია...

„გივი კილაძეზე" დაგვიანება ლამის წესად იქცეს. რუსთაველთა ავტობუსი სტადიონის ცენტრალურ შესასვლელს მატჩის დაწყებამდე 7 წუთით ადრე მოადგა. მართალია, სათამაშო ფორმაში გამოწყობა სტუმრებს მანქანის სალონშივე მოესწროთ, მაგრამ აუცილებელმა წინასამატჩო ფორმალობებმა 20 წუთი მაინც წაიღო.

ვიდრე ამ შეხვედრაზე ვიტყოდეთ, უპრიანი იქნება, „მეტალურგ" — „ტორპედოს" წინა გათამაშების მეორე წრის მატჩი გავიხსენოთ, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. „მეტალურგს" მაგრად უჭირდა, „ტორპედოსთან" რომ არ მოეგო, ალბათ, ჯგუფიდან გავარდნას ვერ ასცდებოდა. „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ იმ თამაშში „ექსპერიმენტს" მიმართა — ძირითადის რამდენიმე მოთამაშის ნაცვლად შედარებით გამოუცდელნი და ორიც თავისივე ფარმ-კლუბელი გამოიყვანა. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ამით რუსთაველებს საქმე გაუიოლდათ და ჰაერივით საჭირო სამი ქულაც მიითვალეს. არ დაივიწყინებ, გინდა თუ არა „მეტალურგი" ქუთაისელებთან დებიტორულ დავალიანებაში იმყოფებოდა-მეთქი, მაგრამ, ფაქტია, შაბათს რუსთაველებმა მეტოქეს ერთობ დამაეჭვებელი ჟესტით უპასუხეს — პრაქტიკულად მესამეჯგუფელი „ხალიბი" ჩამოიყვანეს სათამაშოდ, რომლის ძლევაც ქულებსმოწყურებულ „ტორპედოს" არ უნდა გაჭირვებოდა. საბოლოოდ ასეც მოხდა.

15-18 წლის სტუმრებმა მხოლოდ პირველ 45 წუთში გაუძლეს ტორპედოელთა დაწოლას და თავიანთი გოლკიპერის გაბედული თამაშის წყალობით კარიც მშრალად შეინარჩუნეს. მასპინძლებმა რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან. მე-13, მე-15, 27-ე და 37-ე წუთებზე ბედიაშვილმა შესაბამისად იონანიძეს, ჩხეტიანს, ხუჯაძეს და მეგრელაძეს აული ძნელი ბურთები, 27-ე წუთზე კი მეტრეველის თაური ხარიხამ აისხლიტა.

ბედიაშვილმა მეორე ტაიმშიც ბევრჯერ იხსნა თავისიანები, თუმცა, ოთხი მაინც გაუშვა. პირველი მას შემდეგ შეაგდეს, რაც იონანიძემ გაარღვია მეტოქის დაცვა და მიზანშიც ზუსტად მოარტყა. მერე შეცვლაზე გამოსულმა ტორპედოელებმა გაატანინეს პარტნიორებს — შენგელიამ მეგრელაძეს, ხოლო ვაჩიბერაძემ მეტრეველს. შედეგს წერტილი კვეტენაძემ დაუსვა, როდესაც დაახლოებით 20 მეტრიდან უნაკლოდ დაარტყა დაბალი.

ასე დასრულდა პირველი წრის 119-ე ბოლოსწინა მატჩი. სხვა შედეგს არც არავინ ელოდა. სტუმრები იმდენად დაბნეულიყვნენ, რომ მეორე ტაიმი რიცხობრივ უმცირესობაშიც კი დაიწყეს. რუსთაველები თამაშის განახლებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მიხვდნენ, რომ ათნი თამაშობდნენ, მეთერთმეტე გასახდელში ჩაკეტილი დარჩენოდათ.

## სირცხვილი ამერიკას!

DAVIS CUP
NEC

ამ უქმეებზე გიოტებორგში გამართული დევისის თასის ფინალი შვედეთისა და აშშ-ის გუნდებს შორის მოულოდნელი შედეგით დასრულდა 5:0 — სკანდინავიელებმა ამერიკელების ნაქებ დუეტს — მსოფლიოს პირველ და მესამე ჩოგნებს — პიტ სამპრასსა და მაიკლ ჩანგს ბდღვირი ადინეს და სამწლიანი შესვენების შემდეგ თავიანთ ისტორიაში მეექვსედ გახდნენ თასის მფლობელები.

იხილეთ მეოთხე გვერდი

## სტოკჰოლმშიც წავაგეთ

შაბათს სტოკჰოლმში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მეორე სასტარტო შეხვედრაც დათმო, ამჯერად შვედებთან 85:89, არადა პირველი ნახევარი ჩვენების რვაქულიანი უპირატესობით დასრულდა — 54:46. ქართველთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ სტეფანია — 28 ქულა და ნაცვლიშვილი — 23.

შაბათსვე ევროპის ჩემპიონატის E ჯგუფში, რომელშიც საქართველოს ნაკრები თამაშობს, იტალიამ მოუგო ჩეხეთს 84:60, ლატვიამ წააგო თურქეთთან 74:84.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 179:122 | 4 |
| იტალია | 2 | 2 | 0 | 180:144 | 4 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 130:142 | 3 |
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 137:150 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 2 | 153:159 | 2 |
| ლატვია | 2 | 0 | 2 | 158:180 | 2 |

*3 დეკემბერს თამაშებენ: საქართველო-თურქეთი, ჩეხეთი-ლატვია, იტალია-შვედეთი.*

### A ჯგუფი

სლოვენია — გერმანია 75:71. სლოვაკეთი — საბერძნეთი 73:76, ბულგარეთი — ბელგია 86:82

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 2 | 2 | 0 | 154:147 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 157:154 | 3 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 159:158 | 3 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 152:152 | 3 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 147:148 | 3 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 2 | 141:151 | 2 |

*3 დეკემბერს: სლოვაკეთი — სლოვენია, ბელგია — გერმანია, საბერძნეთი — ბულგარეთი*

### B ჯგუფი

მაკედონია — პოლონეთი 79:72. პორტუგალია — რუსეთი 76:91, უნგრეთი — რუმინეთი 86:56

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 207:149 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 2 | 0 | 155:116 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 1 | 147:161 | 3 |
| მაკედონია | 2 | 1 | 1 | 152:188 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 132:148 | 2 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 126:157 | 2 |

*3 დეკემბერს: პორტუგალია — მაკედონია, რუმინეთი — პოლონეთი, რუსეთი — უნგრეთი*

### C ჯგუფი

უკრაინა — ისრაელი 62:65, ინგლისი — ესპანეთი 76:92, ბელარუსი — დანია 66:60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 2 | 2 | 0 | 160:126 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 175:142 | 4 |
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 148:156 | 3 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 1 | 130:155 | 3 |
| დანია | 2 | 0 | 2 | 124:138 | 2 |
| უკრაინა | 2 | 0 | 2 | 128:148 | 2 |

*3 დეკემბერს: ინგლისი — უკრაინა, დანია — ისრაელი, ესპანეთი — ბელარუსი*

### D ჯგუფი

ბოსნია — ხორვატია 79:67, ჰოლანდია — ლიტვა 57:88, ესტონეთი — ისლანდია 88:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 2 | 2 | 0 | 148:133 | 4 |
| ლიტვა | 2 | 1 | 1 | 154:126 | 3 |
| ხორვატია | 2 | 1 | 1 | 155:142 | 3 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 147:161 | 3 |
| ესტონეთი | 2 | 1 | 1 | 151:167 | 3 |
| ისლანდია | 2 | 0 | 2 | 162:175 | 2 |

*3 დეკემბერს: ჰოლანდია — ბოსნია, ისლანდია — ხორვატია, ლიტვა — ესტონეთი*

## დღეს პირველი დეკემბერია

უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციის შორის დაპირისპირებას უახლოეს დღეებში ბოლო მოეღება.

ფიფამ ფედერაციაში გენერალური მდივნის ზეპ ბლატერის დამოწმებული ფაქსი აფრინა, რომლის გადმოქართულებული ტექსტიც შაბათს გაახლეთ. დეპარტამენტმა კი თავისივე ულტიმატუმის ვადა ამოწურა — დღეს უკვე პირველი დეკემბერია, ის დღე, ფედერაციამ რიგგარეშე ყრილობის ზუსტი თარიღი რომ უნდა გამოაცხადოს. ან არადა, როგორც აქამდე ბევრჯერ თქმულა, დეპარტამენტმა თავადვე უნდა მოიწვიოს საგანგებო ყრილობა. თუმცა, ფიფას ფაქსის შემდეგ სპორტის მამები რას ილონებენ, გაურკვეველია.

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში ბევრჯერ ვცადეთ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან დაკავშირება. ბუნებრივია, ყველას მისი აზრი გვაინტერესებდა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამაოდ. ბატონი კახი რომ ვერ მოვიხელთეთ, მისი პირველი მოადგილე ჯანო ბაგრატიონი შევაწუხეთ, რომლის თქმითაც ბევრი რამ დღეს გაირკვევა, რადგანაც ფიფას ფაქსის ასლი ჯერაც არ მიუღიათ დეპარტამენტში, უფაქსოდ რაიმე კონკრეტულზე ლაპარაკი კი, ბატონმა ჯანომ გაუმართლებლად მიიჩნია.

ამის მერე, თავად ბატონ კახისთან შეხმიანება ერთხელაც ვცადეთ, პირადად ვესაუბრეთ კიდეც, მაგრამ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებულ კომენტარზე, სამწუხაროდ, ცივი უარი მივიღეთ.

კობა ინასარიძე

## ყიფიანი ძველებურად ფიქრობს და ნაკრებში დაბრუნებას არ აპირებს

ფედერაციისა და დეპარტამენტის ჭიდილმა ბევრს დაავიწყა 18 იანვარი, ბრიუსელში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრის ჩატარების დღე რომ ახლოვდება. ამასთან დაკავშირებით, დავით ყიფიანს ტელეფონით ვესაუბრეთ და რამდენიმე კითხვითაც მივმართეთ. ბუნებრივია, პირველად ის ვკითხეთ, შეპირებული პრესკონფერენციის გამართვას როდის აპირებდა, „დინამოს" მწვრთნელმა კი მოკლედ გვიპასუხა, პრესკონფერენცია ამასწინათ გავმართე დილმის საწვრთნელ ბაზაზე, დანარჩენს სეზონის ბოლოს ვილაპარაკებო. სეზონი, მოგეხსენებათ, ზაფხულის დამდეგს მთავრდება, მანამდე ნაკლული 6 თვე რჩება. ჰოდა, რა თქმა უნდა, ძნელი მისახვედრი არ გახლდათ, დავით ყიფიანი ისევ თავის ძველ აზრზე რომ დგას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ არ იტყოდა, დანარჩენი სეზონის ბოლოსო. დანარჩენი კი დიღმის ბაზაზე ართქმულია, ის, რასაც ყველანი მოუთმენლად ველით — მიზეზი იმისა, რატომ განაცხადა პოლონელებთან თამაშამდე, ხვალ ჩემი ბოლო მატჩი იქნება ნაკრების მწვრთნელის რანგშიო.

ყოველივე ზემოთქმულიდან და ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კეინიკაძის ნაამბობიდან გამომდინარე, ერთი კითხვაც დაგვებადა: როდის აპირებდა დავით ყიფიანი ფედერაციაში ოფიციალური განცხადების შეტანას ნაკრების მწვრთნელობიდან გათავისუფლების შესახებ. ყიფიანმა ასე მოგვიგო — „რა ოფიციალური განცხადება, ფედერაციასთან კონტრაქტი არც არასდროს მქონია, დეკემბერში ალმასკომის სხდომას მოიწვევენ და ბევრი რამ იქ გაირკვევა. ისე კი, ნაკრებში მობრუნება არ მინდა..."

ბატონ დავითთან მეტი აღარც გვისაუბრია. ხომ აშკარაა, მეტად ჩახლართული მდგომარეობა რომ არის შექმნილი ქართულ ფეხბურთში. ფედერაციას თავისი გასაჭირი აქვს, დეპარტამენტს თავისი, ეროვნული გუნდი ისევ უმწვრთნელოდაა, ხოლო კითხვა — რა გვეშველება, ჯერაც უპასუხოდაა. ვნახოთ, იქნებ ალმასკომის მოახლოებულმა სხდომამ მაინც დაგვაყენოს საშველი.

კობა ინასარიძე

## ყოჩები ყოჩობენ
### ახალ ჩემპიონსა გაუმარჯოს!



**საქართველოს XXX პირველობის დიდი ფინალი**

კვირა, 30 ნოემბერი. თბილისი, ვაკე. ორი ათასი მაყურებელი

**ყოჩები-სტუ 20:8 აია-ჰეი**

(12:3). მსაჯი (დრო) მარკ დეკლო (საფრანგეთი) (44 + 46 წუთი)

**თბილისის ყოჩები-სტუ:** მაჩიტიძე; ლიპარტელიანი (ბარძიმიშვილი 72), საკანდელიძე (პეტრიაშვილი 64), ქეიშვილი, მხეიძე; ტეფნაძე, გიორხელიძე — ფირიაშვილი (ესაკია 45), ჭავჭავაძე (ცხვედიანი 77), ახვლედიანი; სულთანიშვილი (გუშარაშვილი 58), გიორგობიანი (ხურცილავა 58); ტყეშელაშვილი, ურუშაძე, კობახიძე. — პლ: მხეიძე (7), მაჩიტიძე (27), კობახიძე (75); გ: ტეფნაძე (27); ს: კობახიძე (60)

**ქუთაისის აია-ჰეი:** შვანგირაძე (ჩუბინიძე 45); გაბრიჩიძე (ზიბზიბაძე 82), ხამაშურიძე, სოფრომაძე, ხონელიძე; შერვაშიძე, ბ. ძაგნიძე — აშვეთია, გურეშიძე, აქვ. გიორგაძე; ოდიშარია (აბაშიძე), ლეჟიძე (პაპავა 77); გოგისვანიძე (გორგიძე 61), აფრიდონიძე, ფხაკაძე. — ლ: ფხაკაძე (48); ს: შვანგირაძე (32)



ორი ძირძველი ყოჩი: ირაკლი გიორხელიძის პასს მალხაზ ჭეიშვილი მიელის

დაფასდა პირველი ქართული სარაგბო გუნდის — სპი-ის დამაარსებელთა ამაგი. ახლა პოლიტექნიკოს მორაგბეთა ბარემ ათი თაობის ნატვრა. ქართულ კლუბთაგან ყველაზე სხარტი სახელის პატრონი არსებობის 37-ე წელსღა გახდა ოფიციალურადაც ქვეყნის ჩემპიონი.

1992 წლის შემოდგომაზე მიზეზთა და მიზეზთა გამო საქართველოს პირველობა შეწყდა. რაგბის მატჩები ჩვენში შემდეგ გაზაფხულზევე განახლდა, მაგრამ სარაგბო საქმეებში ისეთმა ქაოსმა დაისადგურა, რომ 1993 წლის ჩემპიონი 1994 წელსღა გამოვლინდა. და აი, იქიდან მოყოლებული უკვე მეხუთე ჯილდა გვყავს: რუსთავის „აზოტის", „თბილისის", ქუთაისის „აიასა" და თბილისის „გუმარის" ესტაფეტა თბილისისავე „ყოჩებმა" გადაიბარეს.

წლევანდელი სეზონი „ყოჩები"-სტუ-თვის მართლაც რომ გამორჩეული იყო. გუნდი პირველივე ტურიდან ლიდერობდა. „სარბიელის სინიც" მოიპოვა და დაიცვა, მაგრამ ქართული რაგბის პარადოქსები ხომ კარგად მოგეხსენებათ და საიუბილეო პირველობის დებულება განაცხა სეზონშიღა დაზუსტდა.

მეტოქეებმა რომ შეატყვეს, ცხრილში გვარიანად დაწინაურებულ „ყოჩებს" ვერ დავეწევითო, შეჯიბრების ბოლო სტადიის გამართვა ხმათა უმრავლესობით პლეი-ოფის სისტემით დაადგინეს. ერთი სიტყვით, შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ ერთ მარცხს ობიექტურად უძლიერესი გუნდისთვის მთელი სეზონის მონაგარი წყალში გადაეყარა.



კახა კობახიძეს გიორგი ახვლედიანი (თავწაკრული) ულოცავს ჩემპიონობას

ბედად ასე არ მოხდა. სამართალმა პური ჭამა. „ყოჩებმა" ნეიტრალური, უდაოდ მცოდნე მსაჯის ხელშიც დაამტკიცეს, რომ მეტოქეებს ჯობიან. მოკლედ, კლუბის პრეზიდენტ თემურ გაფრინდაშვილს, უფროს მწვრთნელ ლაშა გეგენავას, მოთამაშე-მწვრთნელ მალხაზ ჭეიშვილს, „ყოჩთა" მრავალი თაობის გამომზრდელ გელა მიქაბერიძეს, კლუბის ყველა ყოფილ მოთამაშეს და კიდევ უამრავ მოზარდს, „ყოჩებში" რომ ეწაფებიან რაგბის მულამს, ახლა საზეიმოდ აქვთ საქმე. აკი გუშინ ყველანი ვაკეში იყვნენ, ბიჭებს გულმხურვალედ ქომაგობდნენ, დღეს კი ჩემპიონობის აღნიშვნას სხვაფრივაც საკადრისად აპირებენ.

თამაშის პერიპეტიები იხილეთ მეოთხე გვერდზე

# მოჰამედ რეზა ფაჰლავის შემდეგ

### შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

**ავსტრალია 2:2 ირანი**

*(პირველი მატჩი 1:1)*

**ავსტრალია:** ბოზნიჩი, მური (არნოლდი 83), პოვარტი, ტობინი, ლაზარიდისი, სლეიტერი (ტ. ვიდმარი 81), ფოსტერი, ზელიჩი, ა. ვიდმარი (ტაპაი 81), კიუელი, ვიდუკა

**ირანი:** აბედზადე, მაჰდავიკია, ხაკპური, პაირავანი, ესტილი, ბაგერი, შაჰრუდი (მანსურიანი 57), ფაშაზადე, საადავი (ტაჰამი 76, ასადი 87), აზიზი, დაეი

1:0 კიუელი (32), 2:0 ა. ვიდმარი (48), 2:1 ბაგერი (77), 2:2 აზიზი (80)

კითხვისნიშნები აღარაა. 1988 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა ფინალისტი ცნობილია. ირანი — აი, ბოლოს, 32-ე გუნდი. ახლა ყველანი ხუთშაბათს ველოდებით. ხუთშაბათს 4 დეკემბერია, მარსელში წილისყრა ტარდება. იქ გაირკვევა დასკვნით ეტაპზე ვინ ვისი მეტოქე გახდება. 32 რჩეულიდან გაისად, საფრანგეთში ერთმა ყველას უნდა აჯობოს. ის ერთი მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს ტიტულს მოიპოვებს.

მანამდე კი იყო შაბათი, ის დღე, როდესაც მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზე“ ავსტრალიამ ირანს უმასპინძლა. პირველ შეხვედრაში, თეირანში ნათამაშევი 1:1-ის მერე „სოკერუ“ ანუ ავსტრალიის საფეხბურთო ნაკრები ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ...

თეირანში საოცარი ზეიმი გაიმართა. ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვიდა. ამბობენ ასეთი დღესასწაული ამ აზიურ ქვეყანას 1979 წლის მერე არ მოსწრებიაო. მაშინ, 1979 წელს ისლამურმა რევოლუციამ ევროპული ორიენტაციის შაჰის, მოჰამედ რეზა ფაჰლავის ხელისუფლება დაამხო. შაჰმა ქვეყანა დასტოვა და აღლუმიც იმად გაიმართა.

შაბათს ტკბილეულობითა და ყვავილებით მოვაჭრეებმა დრო იხელთეს. ისინი თავიანთ საქონელს ხელში აჩეჩებდნენ ხალხთა ნაკადს, მანქანების სახურავებზე შემომსხდარი ახალგაზრდობა კი დროშებს აფრიალებდა და ამაყად გაიძახოდა თავისი ქვეყნის სახელს. სამსახურებიდან შინისკენ ავტობუსებით მიმავალმა ადამიანებმა ფანჯრებიდან ხელები გადმოჰყვეს და საკუთარი ტრანსპორტის გარე კედლებს რიტმული ბრაგაბრუგი აუტეხეს. ტელევიზია ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ ანალოგიურ დემონსტრაციებს გადასცემდა.

ირანის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქ თაბრიზში ხალხი ქარიმ ბაგერის სახლთან შეგროვდა. ვინაა ბაგერი? ვინ და ავსტრალიელთა კარში პირველი გოლის ავტორი. პრეზიდენტმა მოჰამედ ხათამიმ ფეხბურთელებს მილოცვის დეპეშა უფრინა. ჰქონდა კიდეც საბაბი, ირანი მეორედ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე. პირველად ეს ამბავი 1978 წელს იყო, ოცი წლის წინათ.

მაშინ, არგენტინაში ირანელებმა შოტლანდიასთან 1:1 ითამაშეს, ჰოლანდიასთან და პერუსთან კი წააგეს და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. ახლა რა იქნება?

თუმცა ჯერ ამაზე ფიქრი ადრეა. ჯერ სიხარული უნდა მოინელონ. წარმოიდგინეთ, თეირანის ქუჩებში ხალხი ფანჯრებთან ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყო და რაფებზე გამოდგმულ ტელევიზორებში უცქერდა, როგორ აგებდა მათი გუნდი 0:2-ს.

32-ე წუთზე აურელიო ვიდმარმა, რომელმაც მანამდე ორი ჩინებული შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, მარცხენა ფრთაზე ნაიმ საადავი მოატყუა და ჩააწოდა. მარკ ვიდუკამ გაწოლილი თაურის დარტყმა სცადა, მაგრამ ვერ შესწვდა ბურთს, ჰარი კიუელმა კი შორეულ ძელთან მიასწრო და მარჯვენა ფეხით, ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში.

ავსტრალიელებს თეირანის მატჩთან შედარებით ერთი ფეხბურთელი ჰყავდათ შეცვლილი, ტონი ვიდმარის ნაცვლად „ვესტ ჰემის“ სტენ ლაზარიდისი იყო მოედანზე. სწორედ ლაზარიდისის აქტიურობამ მოუტანა მასპინძლებს მეორე გოლი. მან მარცხენა ფრთაზე ზემოხსენებული საადავი და მოჰამედ ხაკპური დატანჯა და მელბურნის სტადიონისთვის სარეკორდო რაოდენობის მაყურებელი, 80 ათასი ადამიანი სიხარულით ცას სწია, მაგრამ თურმე ჯერ აად ხარ.

77-ე წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში გვარიანი არეულობა წარმოიშვა, რომელიც ქარიმ ბაგერის გოლით დასრულდა, რამდენიმე წუთში კი ხოდადად აზიზი. ავსტრალიის ნაკრებისა და ინგლისური „ასტონ ვილას“ გოლკიპერთან მარკ ბოზნიჩთან პირისპირ შევიდა და...

— მე ვიჯექი და ვლოცულობდი. ვიცი, როგორ განიცადეს იმ ავსტრალიელმა ბიჭუნებმა, რომლებიც ფეხბურთს თამაშობენ. ძალიან ვწუხვარ. ავსტრალიას უნდა გაემარჯვა — აბა ვინ თქვა ეს სიტყვები? ირანელთა მწვრთნელმა ვალდირ ვიეირამ, ბრაზილიელმა კაცმა, რომელიც აზიური ქვეყნის ეროვნულ გუნდს ცოტა ხნის წინ ჩაუდგა სათავეში. მისი პირველი მატჩი ირანის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე გახლდათ ამასწინდელი შეხვედრა იაპონიასთან, რომელიც მის ფეხბურთელებს რომ მოეგოთ, ყოველგვარი გადათამაშების გარეშე მოხვდებოდნენ საფრანგეთში.

— მინდა ვთხოვო ფეხბურთის ხელმძღვანელებს ჩვენი შინ დაბრუნება დაახლოებით 24 საათით გადასდონ, რათა გულშემატკივრებს სიხარულის აღტკინება ცოტა დაუცხრეთ — თქვა მან — ირანელებს უყვართ ფეხბურთი და მე არ მსურს ჩვენს დასახვედრად აეროპორტში მისული ზღვა ხალხი ჭყლეტაში მოჰყვეს. ვგონებ 70 მილიონ ირანელს ავსტრალიასთან მიღწეულმა შედეგმა ბევრი შესძინა. ისინი ბედნიერნი არიან, ბედნიერი ხალხი კი ომზე არ ფიქრობს.

სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ საგანგებო ინტერვიუში ვიეირამ მატჩის ტაქტიკურ ნიუანსებსაც გაუსვა ხაზი. მან თქვა, რომ თამაშის ნირი მოედანზე თავდამსხმელის იბრაჰიმ ტაჰამის შეყვანამ შეცვალა.

— ტაჰამი ფეთქებადი, სასარგებლო ფეხბურთელია. მან პირველ შეხვედრაში, თეირანში დასტოვა დიდებული შთაბეჭდილება. როდესაც მელბურნში ის მოედანზე შევიდა, შევნიშნე, ავსტრალიელთა ბანაკი შეცბა. მასპინძლები დაღლილები ჩანდნენ, მესამე გოლის გასატანად ძველებური ენერგიით ველარ მიიწევდნენ და მეც ამიტომ გავბედე ცვლილება. შემდეგ პირველი გოლი შევაგდეთ და ამან ავსტრალიელებზე ცუდი გავლენა მოახდინა — განაცხადა მწვრთნელმა და დასძინა, რომ ტაჰამეს შესვლის შემდეგ აზიზიმ უკან დაიწია. ასეთმა გადანაცვლებამ ორი გოლი მოიტანა, რის შემდეგაც თავდამსხმელი აღარ იყო საჭირო და ტაჰამიც მოედნიდან გაიყვანა, სანაცვლოდ კი დამატებითი მცველი შეუშვა.

— ირანში ჩვენ ვიყავით უფრო ძლიერნი, დღეს — ავსტრალია. ისე, ორივეს უამრავი მომენტი გვქონდა — თქვა „სოკერუს“ კარში გატანილი მეორე გოლის ავტორმა აზიზიმ.

ავსტრალიელმა მწვრთნელმა, ინგლისელმა ტერი ვენეიბლზმა კი გუნდს 14 შეხვედრაში 12-ჯერ მოაგებინა, ორჯერ ფრე ათამაშა და დაუმარცხებლის სახელი მოუტანა, მაგრამ რად გინდა...

ახლა ავსტრალიელები მომავლისა და ფიფას იმედად არიან. ვენეიბლზის და „სოკერ ავსტრალიას“ თავმჯდომარის დევიდ ჰილის განცხადებით, ისინი ცუდი შესარჩევი სისტემის მსხვერპლნი არიან.

— სულერთია, ევროპა იქნება, სამხრეთ ამერიკა თუ კონკაკაფი, ნებისმიერი კონტინენტურ ფედერაციას შეეკითხებით, შეუძლია თუ არა ჩვენი მილება თავის შეჯიბრებაში. მივმართავ ფიფასაც, ვკითხავ რით შეუძლია ამ სიტუაციაში ჩვენი დახმარება — თქვა ჰილმა.

რაც შეეხება ვენეიბლზს, მან საბედისწერო შედეგი ნაწილობრივ ცუდ მსაჯობას დააბრალა:

— ის ირანელი ფეხბურთელი, რომელმაც პირველი საგოლე პასი შეასრულა, ისეთ პოზიციაში იდგა, ძალიან რომ ჰგავდა ოფსაიდს. სამწუხაროდ მსაჯებმა ეს ვერ შენიშნეს და გოლი ჩათვალეს.

ავსტრალიის ნაკრებისა და ინგლისური „საუთჰემპტონის“ ნახევარმცველმა რობი სლეიტერმა კი განაცხადა, რომ „სოკერუს“ გუნდს იმის სწავლა მართებს, როგორ უნდა შეინარჩუნოს უპირატესობა, როდესაც ძლიერ მეტოქეებთან თამაშობს. „ბლექბერნში“, „ვესტ ჰემსა“ და ფრანგულ „ლანსში“ ნათამაშევმა კაცმა დასძინა: — ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ რა დაგვატყდა თავს. მთელი გუნდი გაოგნებულია. მოხდა ისეთი რამ, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაგვყვება თან, მით უფრო თუ საქმე ჩემებრ ასაკოვან ფეხბურთელს ეხება.

— ახლა ოთხი წელიწადი ცდა მოგვიწევს და ყველაზე მეტად ისევ ოფიციალურ მატჩთა სიმცირე შეგვიშლის ხელს — დაასკვნა ვენეიბლზმა.

# შემოდგომის ჩემპიონები

## გერმანია

XVII ტური

**კაიზერი 2:1 ჰამბურგი**

0:1 სალიჰამიჯიჩი (58), 1:1 რატინიო (75), 2:1 ხრისტოვი (90)

**არმინია 1:1 შალკე**

1:0 რეინა (70), 1:1 მაქსი (83)

**ვერდერი 2:2 შტუტგარტი**

1:0 ფრინგსი (61), 2:0 ბრენდი (69), 2:1, 2:2 ბალაკოვი (843, 89)

**გლადბახი 0:2 ვოლფსბურგი**

0:1 კოვაჩევიჩი (24), 0:2 პრეგერი (28)

**კარლსრუე 3:0 ჰანზა**

1:0 რეჟისი (22), 2:0 გილევიჩი (46), 3:0 დანდი (79)

**დუისბურგი 0:1 ჰერტა**

0:1 პრეცი (22)

**მიუნხენი 0:2 ბოხუმი**

0:1 პეშელი (5), 0:2 რაისი (15)

**ლევერკუზენი 4:2 ბაიერნი**

0:1 ელბერი (6), 0:2 იანკერი (25), 1:2 ჰაინცე (45), 2:2, 3:2, 4:2 კირსტენი (69, 90, 90)

ბუნდესლიგის პირველი წრის ბოლო ტური არასრული გახლდათ, რადგან „კიოლნმა“ და დორტმუნდის „ბორუსია“ წინა ტურში დაამთავრეს საშემოდგომო ჩემპიონატი. ორივე გუნდმა უფერულად ითამაშა და უჩვეულო ადგილები დაიკავა: „კიოლნი“ ბოლო ადგილზეა, „ბორუსიას“ კი ბოლოდროინდელი წარმატებული ასპარეზობის შემდეგ პირველად მოექცა ცხრილის შუაგულში, თუმცა, ჩემპიონთა ლიგაში დორტმუნდელთა კარგი თამაში იმის საფუძველს იძლევა, რომ ყველაფერი გამოსწორდება.

პარასკევს ორი მატჩი გაიმართა. „კარლსრუეს“ დიდი უპირატესობა ჰქონდა „ჰანზასთან“ შეხვედრაში. ცუდი სატურნირო მდგომარეობა გუნდს აიძულებდა მობილიზებულად ეთამაშა. კარლსრუელებმა ეს მოახერხეს და დიდი ანგარიშით — 3:0 გაიმარჯვეს. საერთოდ, „კარლსრუე“ მეტად არასტაბილურად გამოიყურებოდა: თითო-ოროლა კარგ თამაშს ძირითადად ულიმღამო მატჩები ცვლიდა. ფინკის და ტარნატის წასვლამ გუნდს დიდი პრობლემები შეუქმნა. მართალია, ჰესლერი ძალიან კარგად თამაშობს, მაგრამ მხარს ვერავინ უბამს. ტრადიციულად სუსტია დაცვა და მეკარე რაიტმაიერი. მთავარი გოლეადორი დანდიც ვერ არის ფორმაში.

„ჰანზა“ კარგად გაისარჯა მთელი პირველი წრის მანძილზე, განსაკუთრებით სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში და ბოლო ტურებში რომ არ წაეფორხილებინა, ნამდვილად მაღალ ადგილს დაიკავებდა. ჰანზელთაგან გამოირჩეოდნენ ბარბარეზი და ნოიჟილე.

იმავე დღეს „დუისბურგი“ შინ „ჰერტასთან“ დამარცხდა. ბერლინელებმა ძალიან ძლიერად ჩაატარეს მატჩი და უიმედო აუტსაიდერის როლს თავი დააღწიეს. გუნდმა თავისი თავი იპოვა და ამბიციურ ბერლინელ გულშემატკივართა ვნებები ნაწილობრივ დააცხრო. რაც შეეხება „დუისბურგს“, პირველ წრეში მის ასპარეზობას წარმატებული ეთქმის.

შაბათს, ლიდერი „კაიზერსლაუტერნი“ „ჰამბურგს“ მასპინძლობდა. მოგების შემთხვევაში გუნდი საშემოდგომო ჩემპიონატს გაუძღვებოდა, ხოლო როგორც ბუნდესლიგის სტატისტიკა მოწმობს, ამ ეტაპზე გამარჯვებული ხშირად ჩემპიონიც ხდება.

მასპინძლებს თავი არ დაუზოგავთ, თუმცა, ძალზე გაუჭირდათ. მიუხედავად იმისა, რომ იებოამ გაძევების გამო ჰამბურგელები პირველი ტაიმის მიწურულს ათნი დარჩნენ, მეორე ნახევრის დასაწყისში გააქტიურდნენ და მეტოქის კარიც დალაშქრეს. მხოლოდ მატჩის ბოლო წამებზე შეძლეს კაიზერსლაუტერნელებმა გამარჯვების გოლის გატანა, რითაც აღაფრთოვანეს გუნდის თავკაცები და „ფრიც ვალტერ შტადიონზე“ მისული გულშემატკივრები. „კაიზერსლაუტერნმა“ საუცხოოდ ჩაატარა პირველი წრის მატჩები და პირველი ადგილიც დაიკავა, თუმცა, ოტო რეჰაგელი თვლის, რომ ჩემპიონობამდე ჯერ შორია. კარგად ითამაშეს გუნდის ვეტერანებმა კადლეცმა, ვაგნერმა, ბრაზილიელმა რატინიომ, განსაკუთრებით კი — ყოფილმა გდრ-ელმა ოლაფ მარშალმა. „ჰამბურგზე“ კი ეს არ ითქმის — ერთ დროს სახელგანთქმული გუნდი გულუხვად არიგებდა ქულებს შინ და გარეთ. ერთადერთი, ვისი გამოყოფაც ჰამბურგელთაგან შეიძლება, ბოსნიელი ჰამან სალიჰამიჯიჩია. „პირველ ტაიმში გაგვიჭირდა. მეტოქე მეტად ძლიერი აღმოჩნდა, თუმცა მერე ჩვენი თამაში ვიპოვეთ და გადავრჩით. მეორე ნახევრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამარჯვებას უთუოდ ვიმსახურებდით. პირველი წრის ჩემპიონობა გამიხარდა, თუმცა სეზონი მაისში მთავრდება და არა შემოდგომით, ასე, რომ ჩემპიონობაზე საუბარი ჯერ ადრეა“ — განაცხადა „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა. მისმა ჰამბურგელმა კოლეგამ ფრენკ პეგელსდორფმა კი ისღა თქვა მეტოქემ ასე თუ გააგრძელა თამაში, ჩემპიონობას აუცილებლად მოიგებსო.

„არმინია“ — „შალკეს“ შეხვედრაში ფრე აღინიშნა 1:1. თამაშში თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ სტუმრებმა მატჩის მიწურულს შეძლეს გოლის გაქვითვა. „შალკე“ ურიგოდ არ ასპარეზობს და უეფას თასზეც ღირსეულად იბრძვის. ამ ორგანიზებული და მაღალი კლასის გუნდის თამაშს ძირითადად კაპიტანი ტონი, ლინკე და ვილმოტსი განსაზღვრავენ, თუმცა, ძნელია, „შალკეში“ ვინმე გამოარჩიო, იმდენად თანაბარი და ძლიერი ფეხბურთელებით არის იგი დაკომპლექტებული. არც „არმინია“ თამაშობს ცუდად, რაც ვეტერანი კუნცისა და ჯუზეპე რეინას დამსახურებაა.

„ვერდერი“ — „შტუტგარტის“ მატჩი ფრედ 2:2 დამთავრდა. მასპინძლები თამაშის მიწურულამდე იგებდნენ, მაგრამ ბალაკოვის ორმა გოლმა სტუმრებს ქულა მოაპოვებინა. „შტუტგარტმა“ პირველი წრის ფინიშზე აშკარად მოუმატა, სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესა, რაც შეეხება „ვერდერს“, იგი კვლავ არასტაბილურად გამოიყურება.

„მიონხენგლადბახის“ ბორუსია შინ დებიუტანტ „ვოლფსბურგთან“ დამარცხდა. საერთოდ, „ბორუსიას“ თამაში მთელი პირველი წრის მანძილზე ერთგვარი ავანტიურა ახლდა, არანაირი ყურადღება არ ექცეოდა სათამაშო დისციპლინას და შედეგიც სავალალოა. გუნდი გავარდნის კანდიდატია და, ალბათ, მწვრთნელის — ჰანს ბონგარტცის გადადგომაც არ დააყოვნებს. „ვოლფსბურგმა“ კი პირიქით, დამაჯერებელი და სტაბილური თამაში აჩვენა. აღნიშვნის ღირსნი არიან როი პრეგერი და კლაუდიო რეინა. „ვოლფსბურგმა“ ლიდერს — „კაიზერსლაუტერნსაც“ კი მოუგო და კარგი თამაშით სიმპათიებიც დაიმსახურა.

საკუთარ შესაძლებლობებს სრულად ვერ ავლენს „მიუნხენ 1860“ რომელმაც შინ აუტსაიდერ „ბოხუმთან“ წააგო. მიუნხენელებს ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ — ვინკლერი, აბედი პელე, ჩერნი, ნოვაკი, იერემისი, ბენლერი. ასეთი შემადგენლობის გუნდს კი არ ეპატიება ულიმღამო და არასტაბილური თამაში. ასევე სუსტად ჩაატა პირველი ეტაპი „ბოხუმმა“, რომელიც შარშან ყველამ ბუნდესლიგის აღმოჩენად ჩათვალა. წელს კი, ეტყობა, ბოხუმელებმა ძალები ვერ მოზომეს და გასავარდნ გუნდთა შორის აღმოჩნდნენ.

იმედი ვიქონიოთ, რომ ბუნდესლიგის მეორე წრე, რომელიც თებერვალში დაიწყება, როგორც ყოველთვის, დაძაბული და საინტერესო იქნება.

**გია გილიგაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 17 | 12 | 3 | 2 | 37:21 | 39 |
| ბაიერნი | 17 | 10 | 5 | 3 | 37:19 | 35 |
| შტუტგარტი | 17 | 8 | 5 | 4 | 35:21 | 29 |
| ლევერკუზენი | 17 | 8 | 5 | 4 | 34:22 | 29 |
| შალკე | 17 | 8 | 5 | 4 | 20:15 | 29 |
| ჰანზა | 17 | 7 | 3 | 7 | 27:24 | 24 |
| დუისბურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 20:22 | 23 |
| ვოლფსბურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 22:25 | 23 |
| ჰერტა | 17 | 6 | 4 | 7 | 21:26 | 22 |
| ვერდერი | 17 | 6 | 4 | 7 | 19:25 | 22 |
| დორტმუნდი | 17 | 5 | 6 | 6 | 26:24 | 21 |
| კარლსრუე | 17 | 5 | 5 | 7 | 27:34 | 20 |
| მიუნხენი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:30 | 20 |
| არმინია | 17 | 6 | 1 | 10 | 23:28 | 19 |
| ჰამბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 23:28 | 19 |
| გლადბახი | 17 | 4 | 6 | 7 | 27:32 | 18 |
| ბოხუმი | 17 | 4 | 4 | 9 | 21:30 | 16 |
| კიოლნი | 17 | 5 | 1 | 11 | 24:38 | 16 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ულფ კირსტენი (ლევერკუზენი) | 14 |
| ოლაფ მარშალი (კაიზერი) | 13 |
| კრასიმირ ბალაკოვი (შტუტგარტი) | 9 |
| ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი) | 9 |
| შტეფან კუნცი (არმინია) | 9 |
| ბერნარდ ვინკლერი (მიუნხენი) | 9 |

### მეორე ბუნდესლიგა

მე-15 ტური. ფორტუნა — ლაიპციგი 2:0; ზანქტ პაული — ურდინგენი 0:0; ცვიკაუ — კარლ ცაისი 0:3; ფიურტი — მეპენი 2:0; კოტბუსი — კიკერსი 2:1; დიუსელდორფი — ფრაიბურგი 2:4 (ერთი ბურთი იაშვილმა გაიტანა); მაინცი — აინტრახტი 1:1; უნტერჰახინგი — გიუტერსლო 1:1; ვატენშაიდი — ნიურნბერგი დღეს გაიმართება

## საფრანგეთი

XVIII ტური

**ნანტი 1:0 მარსელი**

1:0 გურვენეკი (53)

**გინგამი 0:0 ბასტია**

**ლიონი 3:1 რენი**

1:0 ბრავო (9), 2:0 კანუტი (35), 2:1 გრეგორი (63), 3:1 პედროსი (85)

**მონპელიე 1:1 ლე ავრი**

0:1 პრატი (52), 1:1 ალიკარტი (583)

**შატორუ 0:2 მონაკო**

0:1, 0:2 იკპება (35, 81)

**ტულუზი 1:0 კანი**

1:0 მორო (31)

**ლანსი 3:2 სტრასბური**

1:0 შმიცერი (7), 2:0 ზიანი (9), 2:1 კოლეტი (19), 3:1 რაშკე (77ს.კ.), 3:1 ნუმა (88)

**პსჟ 1:0 ოსერი**

1:0 დანჟუ (90ს.კ.)

**ბორდო 2:2 მეცი**

0:1 პირესი (5), 1:1, 2:1 ლასლანდი (45, 53), 2:2 ისტილოლი (79)

„მონაკოს“ ნიგერიელმა ფეხბურთელმა ვიქტორ იკპებამ „შატორუს“ კარში გატანილი ორი გოლით ორი კურდღელი დაიჭირა. პირველი სამი ქულა გახლავთ, ხოლო მეორე საკუთარ გოლთა თორმეტამდე გაზრდა და საფრანგეთის პირველობის ბომბარდირთა სიაში მოწინავეობა. 35-ე წუთზე იკპებამ ალი ბენარბიას მიერ ჩაწოდებულ ბურთს დაარტყა თაური და ისე გახსნა ანგარიში, 82-ზე კი მას „შატორუს“ მცველი ნიკოლა ბიუდინი წაეშველა, მისგან ასხლეტილმა მეკარე ფრედერიკ გეგენი დააბნია და შედეგად მეორე გოლი გავიდა.

„მარსელმა“ ორი კვირის წინ „ოსერს“ 4:0 რომ მოუგო და სამი წლის მონატრებულ პირველი დივიზიონის ლიდერობას რომ გამოჰკრა ხელი, ზედიზედ მეორე სტუმრული მარცხი იწვნია.

— ყველაზე მეტად იმან ამაღელვა, რომ თამაში წავაგეთ, თორემ პირველობის დათმობა დიდი უბედურება არ გახლავთ — თქვა „მარსელის“ მწვრთნელმა როლანდ კურბისმა. მართლაც, სამხრეთელები პირველ ტაიმში აშკარად სჯობდნენ მეტოქეს და გოლიც გაიტანეს, მაგრამ სავიერ გრავლენის ეს წარმატება არბიტრმა გააუქმა, ოფსაიდი აღნიშნა. მეორე ნახევარში „ნანტმა“ იმარჯვა, რამდენიმე საგოლე მომენტი შე-ჰქმნა, რომელთაგან ერთი წარმატებით დააგვირგვინა.

— ახლა უკვე ვიცით, როგორ უნდა დავბრუნდეთ ცხრილის თავში — თქვა „ნანტის“ თავკაცმა რობერ ბუძინსკიმ.

კურბისმა დაიჩივლა, რომ „ნანტთან“ შეხვედრაში მის იტალიელ თავდამსხმელს ფაბრიციო რავანელის მსაჯი უსამართლოდ ეპყრობოდა.

— ვწუხვარ ფაბრიციო რომ დაჩაგრეს, მაგრამ მართალი რომ გითხრათ ის ბევრს ვერაფერს შეცვლიდა, „ნანტმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა — დასძინა მან.

არაა გამორიცხული, რომ რავანელის მიმართ მსაჯის ასეთი დამოკიდებულება ფრანგულმა პრესამაც გამოიწვია, რომელიც „მარსელისა“ და „პარი სენ ჟერმენის“ მატჩის შემდეგ ამტკიცებს, რომ იტალიელმა მსაჯი შეაცდინა და პარიზელთა კარში ცრუ პენალტი დაანიშნინა.

სტრასბურელი ფილიპ რაშკეს ავტოგოლი „ლანსისთვის“ გამარჯვებისა აღმოჩნდა. მას მერე პასკალ ნუმას მიერ თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მეტოქის კარში შეგდებულმა ბურთმა ვეღარაფერი შეცვალა.

„ლიონმა“ კი იტალიური „პარმადან“ ორი ფეხბურთელის შეძენა იზეიმა. საფრანგეთის ნაკრების წევრებმა დანიელ ბრავომ და რეინალდ პედროსმა „რენის“ კარში თითო გაიტანეს და 3:1 გამარჯვებაში დიდი წვლილი დაიდეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 18 | 11 | 2 | 5 | 31:17 | 35 |
| მეცი | 18 | 10 | 5 | 3 | 28:17 | 35 |
| პსჟ | 18 | 10 | 4 | 4 | 30:16 | 34 |
| მარსელი | 18 | 10 | 3 | 5 | 25:14 | 33 |
| ლანსი | 18 | 9 | 4 | 5 | 27:22 | 31 |
| ბორდო | 18 | 8 | 7 | 3 | 24:19 | 31 |
| ბასტია | 18 | 7 | 6 | 5 | 21:15 | 27 |
| ოსერი | 18 | 8 | 2 | 8 | 28:25 | 26 |
| ლიონი | 18 | 8 | 2 | 8 | 22:21 | 26 |
| ტულუზი | 18 | 6 | 5 | 7 | 16:23 | 23 |
| მონპელიე | 18 | 5 | 7 | 6 | 18:20 | 22 |
| გინგამი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:21 | 20 |
| ნანტი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:21 | 20 |
| სტრასბური | 18 | 4 | 6 | 8 | 19:26 | 18 |
| შატორუ | 18 | 5 | 3 | 10 | 17:29 | 18 |
| ლე ავრი | 18 | 2 | 10 | 6 | 17:22 | 16 |
| რენი | 18 | 4 | 4 | 10 | 20:32 | 16 |
| კანი | 18 | 4 | 2 | 12 | 18:35 | 14 |

# მეექვსე გოლი

## ინგლისი

XVI ტური

**კრ. პალასი 1:2 ნიუკასლი**
0:1 ქეცბაია (45), 0:2 ტომასონი (63), 1:2 შიპერლი (67)

**ბარნსლი 2:3 ლიდსი**
1:0 ლიდელი (8), 2:0 უორდი (28), 2:1 ჰაალანდი (35), 2:2 უოლესი (79), 2:3 ლილი (82)

**ბოლტონი 1:0 უიმბლდონი**
1:0 ბლეიკი (89)

**ჩელსი 4:0 დერბი**
1:0 ძოლა (12), 2:0 მ. ჰიუზი (35), 3:0, 4:0 ძოლა (66, 77)

**ქოვენთრი 0:2 ლესტერი**
0:1 ფენტონი (32), 0:2 ელიოტი (75პ)

**ევერტონი 0:2 ტოტენჰემი**
0:1 ვეგა (72), 0:2 ჟინოლა (76)

**საუთჰემპტონი 2:3 შეფილდი**
0:1 აზერტონი (28), 1:1 იორკი (47), 2:1 პარტსონი (48)

**ვესტ ჰემი 2:1 ასტონ ვილა**
1:0 პარტსონი (18), 1:1 იორკი (47), 2:1 პარტსონი (48)

**მანჩესტერი 4:0 ბლექბერნი**
1:0, 2:0 სოლსკიაერი (17, 57), 3:0 ენჩოსი (60ს.კ.), 4:0 კენა (85ს.კ.)

**არსენალი 0:1 ლივერპული**
0:1 მაკმანამანი (55)

განვლო წელიწადნახევარმა და პრემიერლიგაში მორიგი ქართული გოლი გავიდა — თემურ ქეცბაიამ პირველი ტაიმის ბოლო წამებზე „სელჰარსტ პარკზე" შეკრებილი 25 ათასამდე გულშემატკივარი დაამწუხრა. სხვათა შორის, ქეცბაიას გოლი ქართველ ფეხბურთელთა მეექვსე ბურთია ინგლისის ჩემპიონატში — აქამდე ოთხჯერ ქინქლაძემ ივაჟკაცა, ერთხელაც — მიხეილ ყაჟულაშვილმა. ეს 1995-96 წლების სეზონში მოხდა, როცა ორივე „მანჩესტერ სიტის" ღირსებას იცავდა.



ჯანფრანკო ძოლა

„კრისტალ პალასი" საკმაოდ ჭირვეული მეტოქე აღმოჩნდა. ამ ლონდონურ გუნდს მოგება უჭირს, მაგრამ თავადაც ძნელი დასამარცხებელია. ჩვენდა სასიხარულოდ, არც ისე ძლიერად მოთამაშე „ნიუკასლმა" იმარჯვა, რითაც პოტენციური ლიდერობისკენ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა. მატჩი ერთობ საინტერესო იყო-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ იყო მომენტები, რომლებიც სხვა, გაცილებით დაძაბულ მატჩებსაც რომ დაამშვენებდა. სხვათა შორის, ამ სეზონში „კრისტალ პალასს" შინ ჯერ ვერ მოუგია — სამჯერ ფრე ითამაშა, ოთხჯერ კი წააგო. რაც შეეხება „ნიუკასლს", რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, პრემიერლიგა ოთხი თვეა, რაც დაიწყო, გუნდს შვიდჯერ თუ მოუგია, ისიც მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით.

ეს ტური ბევრი სხვა მოვლენითაც იყო აღსანიშნავი. პირველ ყოვლისა იმით, რომ სტუმრებმა შაბათის მატჩებში იძალეს — რვიდან ხუთი მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს. საყურადღებოა პრემიერლიგის ახალი მწვრთნელების — რონ ატკინსონის და კრისტიან გროსის გამარჯვებები. ატკინსონის „შეფილდ უენსდეიმ" ახალი მწვრთნელის ხელში მეორე, ხოლო ისე ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა. შვეიცარიელი კრისტიან გროსის „ტოტენჰემმა" კი საკმაოდ ლამაზ სტილში სძლია „ევერტონი". მასპინძელთათვის ზედიზედ მეხუთე მარცხიანი მატჩის დასრულების შემდეგ ლივერპულელთა გულშემატკივრები კლუბის ოფისთან საათნახევრის განმავლობაში მოითხოვდნენ მთავარი მწვრთნელის, პიტერ ჯონსონის გადაყენებას. „ევერტონის" ხელმძღვანელობა ამ საკითხზე სერიოზულად დაფიქრდა და ორ საათში მართლაც შეასრულა მათი მოთხოვნა.

ჯანფრანკო ძოლა კი მართლაც შეუდარებელი იყო. გასულ სეზონში ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელმა ჩემპიონატი არცთუ დამაჯერებლად დაიწყო, მაგრამ ზამთრის მოახლოებასთან ერთად ჩია იტალიელმა გოლების გატანას მოუხშირა. ყოფილი პარმელი „ჩელსიში" იანვრიდანაა, თუმცა, შაბათამდე პრემიერლიგაში ჰეთ-თრიქი არ შეუსრულებია. ამჯერად „სტემფორდ ბრიჯი" მისი ბრწყინვალე თამაშის მოწმე გახდა — ძოლამ, თამამად შეიძლება ითქვას, მარტომ მოუგო „დერბის". მისი თამაში კი სწორედ ისეთი იყო, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელს რომ შეშვენის.

გუშინ „ოლდ ტრეფორდზე" მანჩესტერელებმა როი ჰოჯსონის „ბლექბერნი" გაანადგურეს, „არსენალი" კი შინ „ლივერპულთან" დამარცხდა. ლონდონში ერთადერთი გოლი მაკმანამანმა შეაგდო ბრწყინვალე სოლო გარღვევის შემდეგ. იგი მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და მოჭრილი დარტყმით მეკარისაგან მარჯვენა მაღალ კუთხეში შეარჭო ბურთი, რაც შეეხება მანჩესტერელთა ტრიუმფს, აქ უმთავრესი როლი გასულ სეზონში „იუნაიტედის" საუკეთესო ბომბარდირმა, ნორვეგიელმა სოლსკიაერმა ითამაშა. სხვათა შორის, მისი დებიუტი სწორედ „ბლექბერნთან" შედგა და მან მაშინაც იხეირა. ისე, სტუმრები 57-ე წუთიდან ათნი თამაშობდნენ, მათ საუკეთესო ფორვარდი კრის სატონი გაუძევეს.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 16 | 10 | 4 | 2 | 40:12 | 34 |
| ჩელსი | 16 | 10 | 1 | 5 | 35:17 | 31 |
| ბლექბერნი | 16 | 8 | 6 | 2 | 27:17 | 30 |
| ლიდსი | 16 | 9 | 2 | 5 | 26:19 | 29 |
| არსენალი | 16 | 7 | 6 | 3 | 30:18 | 27 |
| ლესტერი | 16 | 7 | 5 | 4 | 21:14 | 26 |
| ლივერპული | 15 | 7 | 4 | 4 | 26:14 | 25 |
| ნიუკასლი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:17 | 24 |
| დერბი | 15 | 7 | 2 | 6 | 28:24 | 23 |
| კრ. პალასი | 15 | 5 | 4 | 6 | 15:17 | 19 |
| უიმბლდონი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:21 | 19 |
| ვესტ ჰემი | 15 | 6 | 1 | 8 | 20:25 | 19 |
| ასტონ ვილა | 16 | 5 | 3 | 8 | 16:23 | 18 |
| შეფილდი | 16 | 5 | 3 | 8 | 28:37 | 18 |
| ქოვენთრი | 16 | 3 | 8 | 5 | 13:21 | 17 |
| საუთჰემპტონი | 16 | 5 | 1 | 10 | 20:26 | 16 |
| ტოტენჰემი | 16 | 4 | 4 | 8 | 13:22 | 16 |
| ბოლტონი | 15 | 3 | 7 | 5 | 11:21 | 16 |
| ბარნსლი | 16 | 4 | 1 | 11 | 14:43 | 13 |
| ევერტონი | 16 | 3 | 3 | 10 | 16:27 | 12 |

### პირველი დივიზიონი

მე-20 ტური. ბირმინგემი — პორტსმუთი 2:1; ბრედფორდი — ნორვიჩი 2:1; ჩარლტონი — სვინდონი 3:0; ჰადერსფილდი — ბერი 2:0; იფსვიჩი — ნოტინგემი 0:1; მიდლსბრო — ვესტ ბრომვიჩი 1:0; ოქსფორდი — პორტ ვეილი 2:0; შეფილდი — ქრიუ 1:0; სტოკპორტი — სიტი 3:1; სტოკი — რედინგი 1:2; სანდერლენდი — ტრანმერი 3:0; ვულვზი — ქუინზ პარკი 3:2

## ჰოლანდია

XVII ტური

**ტილბურგი 2:0 ბრედა**
1:0 ვაინმარდი (29), 2:0 კოლკა (59)

**უტრეხტი 1:0 როდა**
1:0 რობემონდი (81პ)

**აიაქსი 2:0 სიტარდი**
1:0 ოლისე (78), 2:0 არველაძე (86)

**სპარტა 0:3 ფეიენოორდი**
0:1 ვან ბრონკჰორსტი (4), 0:2, 0:3 კრუსტი (21, 87)

**ტვენტე 1:1 ვოლენდამი**
0:1 ვალკი (82), 1:1 ბოსმანი (83)

**ვიტესი 2:2 ეინდჰოვენი**
0:1 ნილისი (13), 0:2 დე ბილდე (35), 1:2, 2:2 მახლასი (61პ, 85)

**გრააფსხაპი 3:2 ნაიმეგენი**
0:1 შულცი (38), 0:2 ვან აიკერენი (41), 1:2 ლინდენბერგი (45), 2:2 ვისკალი (62პ), 3:2 ჰესპი (77ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 16 | 15 | 1 | 0 | 52:4 | 46 |
| ეინდჰოვენი | 17 | 10 | 7 | 0 | 51:17 | 37 |
| ვიტესი | 17 | 10 | 5 | 2 | 42:24 | 35 |
| ფეიენოორდი | 17 | 9 | 4 | 4 | 27:18 | 31 |
| ჰერენვენი | 16 | 8 | 4 | 4 | 27:21 | 28 |
| ტილბურგი | 16 | 7 | 3 | 6 | 25:22 | 24 |
| ტვენტე | 16 | 5 | 6 | 5 | 19:19 | 21 |
| გრააფსხაპი | 18 | 5 | 5 | 8 | 22:19 | 20 |
| უტრეხტი | 16 | 6 | 2 | 8 | 29:36 | 20 |
| როდა | 16 | 5 | 4 | 7 | 23:24 | 19 |
| ნაიმეგენი | 17 | 6 | 1 | 10 | 19:35 | 19 |
| სპარტა | 16 | 4 | 6 | 6 | 28:30 | 18 |
| ბრედა | 16 | 5 | 3 | 8 | 18:22 | 18 |
| სიტარდი | 16 | 5 | 2 | 9 | 20:34 | 17 |
| გრონინგენი | 16 | 3 | 6 | 7 | 20:30 | 15 |
| ვალვაიკი | 17 | 3 | 6 | 8 | 21:35 | 15 |
| მაასტრიხტი | 16 | 4 | 2 | 10 | 16:39 | 14 |
| ვოლენდამი | 17 | 2 | 5 | 10 | 13:43 | 11 |

## ბელგია

მე-14 ტური. ვესტერლო — ეკერენი 1:1; ბევერენი — შარლერუა 1:0; ანტვერპენი — მუსკრონი 1:2; მოლენბეკი — სტანდარდი 1:4; ლიერსი — გენკი 1:2; ლომელი — გენტი 0:1; სენტ ტრიუდენი — აალსტი 2:0; ბრიუგე — ანდერლეხტი 2:1; ჰარელბეკი — ლოკერენი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 12 | 10 | 2 | 0 | 35:9 | 42 |
| ჰარელბეკი | 14 | 7 | 6 | 1 | 28:15 | 27 |
| გენკი | 14 | 8 | 2 | 4 | 33:20 | 26 |
| ეკერენი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:19 | 24 |
| ლომელი | 14 | 7 | 2 | 5 | 26:20 | 23 |
| გენტი | 14 | 5 | 5 | 4 | 23:20 | 20 |
| ლიერსი | 13 | 5 | 3 | 5 | 23:17 | 18 |
| სტ. ტრიუდენი | 13 | 5 | 3 | 5 | 13:16 | 18 |
| ლოკერენი | 14 | 6 | 0 | 8 | 24:34 | 18 |
| ანდერლეხტი | 13 | 5 | 2 | 6 | 18:18 | 17 |
| ვესტერლო | 13 | 4 | 5 | 4 | 23:28 | 17 |
| სტანდარდი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:18 | 16 |
| აალსტი | 14 | 4 | 3 | 7 | 21:25 | 15 |
| შარლერუა | 13 | 3 | 5 | 5 | 17:27 | 14 |
| მუსკრონი | 13 | 3 | 4 | 6 | 12:18 | 13 |
| ბევერენი | 13 | 2 | 5 | 6 | 13:21 | 11 |
| მოლენბეკი | 13 | 3 | 2 | 8 | 15:31 | 11 |
| ანტვერპენი | 11 | 2 | 2 | 7 | 13:23 | 8 |

## პორტუგალია

მე-11 ტური. ბელენენსეში — ბენფიკა 1:2; სალგეირუში — ბოავიშტა 1:1; მარიტიმუ — გიმარაეში 0:1; ვარზიმი — შავეში 1:1; ამადორა — ბრაგა 1:0; სეტუბალი — აკადემიკა 0:1; კამპომაიორენსე — რიუ ავე 4:1; პორტუ — ფარენსე და ლეცა — სპორტინგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 7 | 3 | 0 | 20:6 | 24 |
| გიმარაეში | 11 | 7 | 1 | 3 | 15:8 | 22 |
| რიუ ავე | 11 | 6 | 2 | 3 | 19:17 | 20 |
| ბენფიკა | 11 | 5 | 4 | 2 | 14:8 | 19 |
| სპორტინგი | 10 | 4 | 5 | 1 | 10:6 | 17 |
| ამადორა | 11 | 4 | 3 | 4 | 10:14 | 15 |
| კამპომაიორ. | 11 | 4 | 3 | 4 | 13:15 | 15 |
| ფარენსე | 10 | 3 | 5 | 2 | 9:8 | 14 |
| სალგეირუში | 11 | 3 | 5 | 3 | 12:10 | 14 |
| ვარზიმი | 11 | 3 | 5 | 3 | 8:10 | 14 |
| ბრაგა | 11 | 3 | 4 | 4 | 14:14 | 13 |
| აკადემიკა | 11 | 3 | 3 | 5 | 10:13 | 12 |
| მარიტიმუ | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | 12 |
| ბოავიშტა | 11 | 2 | 6 | 3 | 7:9 | 12 |
| ლეცა | 10 | 2 | 4 | 4 | 10:12 | 10 |
| სეტუბალი | 11 | 2 | 4 | 5 | 8:11 | 10 |
| ბელენენსეში | 11 | 1 | 5 | 5 | 7:14 | 8 |
| შავეში | 11 | 2 | 1 | 8 | 6:15 | 7 |

## შვეიცარია

21-ე ტური. ბაზელი — გრასჰოპერი 1:0; კარუჟი — არაუ 1:1; კრინსი — სენტ გალენი 1:5; ლოზანა — ლუცერნი 1:1; სიონი — სერვეტი 1:1; ციურიხი — ქსამაქსი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 21 | 13 | 4 | 4 | 56:22 | 43 |
| ლოზანა | 21 | 12 | 6 | 3 | 43:23 | 42 |
| სერვეტი | 21 | 10 | 6 | 5 | 40:32 | 36 |
| არაუ | 21 | 9 | 5 | 7 | 34:29 | 32 |
| ციურიხი | 21 | 7 | 9 | 5 | 30:25 | 30 |
| სტ. გალენი | 21 | 7 | 8 | 6 | 38:34 | 29 |
| სიონი | 21 | 7 | 8 | 6 | 30:27 | 29 |
| ლუცერნი | 21 | 7 | 8 | 6 | 26:27 | 29 |
| ქსამაქსი | 21 | 6 | 5 | 10 | 33:38 | 23 |
| კრინსი | 21 | 5 | 7 | 9 | 22:37 | 22 |
| ბაზელი | 21 | 4 | 4 | 13 | 27:46 | 16 |
| კარუჟი | 21 | 1 | 6 | 14 | 19:58 | 9 |

## ავსტრია

21-ე ტური. ლუსტენაუ — აუსტრია 3:1; ტიროლი — ზალცბურგი 2:1; ლინცერი — ადმირა 3:5; შტურმი — რიდი 4:1; რაპიდი — გრაცერი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 21 | 15 | 5 | 1 | 50:13 | 50 |
| გრაცერი | 21 | 11 | 4 | 6 | 35:20 | 37 |
| რაპიდი | 20 | 10 | 4 | 6 | 25:22 | 34 |
| ლინცერი | 21 | 9 | 4 | 8 | 38:35 | 31 |
| ზალცბურგი | 21 | 9 | 3 | 9 | 32:24 | 30 |
| აუსტრია | 21 | 8 | 5 | 8 | 28:30 | 29 |
| ტიროლი | 21 | 8 | 4 | 9 | 30:31 | 28 |
| რიდი | 21 | 5 | 6 | 10 | 19:32 | 21 |
| ლუსტენაუ | 21 | 4 | 7 | 10 | 23:36 | 19 |
| ადმირა | 20 | 3 | 2 | 15 | 18:55 | 11 |

## შოტლანდია

მე-15 ტური. ჰიბერნიანი — მოზერველი 1:1; კილმარნოკი — დანფერმლაინი 2:1; რეინჯერსი — სენტ ჯონსტონი 3:2; აბერდინი — სელტიკი და დანდი იუნაიტედი — ჰართსი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 14 | 11 | 0 | 3 | 35:17 | 33 |
| რეინჯერსი | 15 | 9 | 5 | 1 | 41:18 | 32 |
| სელტიკი | 14 | 9 | 1 | 4 | 26:12 | 28 |
| დანდი იუნ. | 14 | 5 | 4 | 5 | 27:24 | 19 |
| დანფერმლაინი | 15 | 5 | 4 | 6 | 21:32 | 19 |
| სტ. ჯონსტონი | 15 | 5 | 3 | 7 | 16:22 | 18 |
| კილმარნოკი | 15 | 5 | 2 | 8 | 15:32 | 17 |
| ჰიბერნიანი | 15 | 3 | 4 | 8 | 21:24 | 13 |
| მოზერველი | 15 | 3 | 4 | 8 | 20:27 | 13 |
| აბერდინი | 14 | 2 | 5 | 7 | 14:28 | 11 |

## იტალია

X ტური

**ატალანტა 0:0 ლეჩე**

**ნაპოლი 1:1 ფიორენტინა**
0:1 ფირიკანო (29); 1:1 ტურინი (35)

**ბოლონია 2:2 სამპდორია**
1:0 რ. ბაჯო (15პ), 2:0 პარამატი (45), 2:1 ლაილე (56), 2:2 კლინსმანი (76)

**ბარი 2:1 ბრეშია**
1:0 ვოლპი (9), 2:0 გუერერო (46), 2:1 ნერი (69პ)

**პარმა 0:2 რომა**
0:1 ტოტი (9), 0:2 პაულო სერჟიო (21)

**ვიჩენცა 1:3 ინტერი**
0:1, 0:2 სიმეონე (33, 38), 1:2 ამბროზინი (59), 1:3 რონალდო (69)

**ემპოლი 2:3 პიაჩენცა**
0:1 დიონიჯი (6), 1:1 ესპოზიტო (13), 1:2 დიონიჯი (38), 2:2 ბეტელა (43), 2:3 ბუზო (88)

**ლაციო 2:3 უდინეზე**
1:0 ფუზერი (31), 1:1 პოჯი (32), 2:1 ნეგრო (41), 2:2 კაპიოლი (73), 2:3 ამოროზო (84)

**მილანი 1:1 იუვენტუსი**
1:0 ფერარა (27ს.კ.), 1:1 ინძაგი (32)

თითქმის ერთი თვე გაილია, რაც სერია A-ს გასული პირველობის ბომბარდირს, ფილიპო ინძაგის გოლი არ ჰქონდა გატანილი და აი, იუვენტუსელმა, როგორც იქნა, მიაღწია თავისას. მან ეს მილანში „სან სიროზე" შეძლო. ინძაგის გოლმა ტურინელები წაგებისგან იხსნა, მაგრამ სხვაობა „ბებერ ქალბატონსა" და პირველ ადგილზე მყოფ „ინტერს" შორის ოთხ ქულამდე გაიზარდა. მიზეზი გასაგებია, „ინტერმა" ვიჩენცაში, თასების თასის მეოთხედფინალისტთან მოიგო, „იუვენტუსმა" „მილანთან" — ვერა.

ინძაგი „სან სიროზე" შემცვლელად შევიდა. პირველსავე ტაიმში, 32-ე წუთზე მან ტრავმირებული ნიკოლა ამორუზო შეცვალა და ბურთთან პირველივე შეხებით საწადელს მიაღწია. იმ ეპიზოდში შეცდომა დაუშვა მილანელთა გოლკიპერმა მასიმო ტაიბიმ.

ინძაგისთვის ეს გოლი სეზონში მეექვსე გახლდათ. მან ჩირო ფერარას ავტოგოლი გაქვითა. საქმე ასე იყო: „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მცველი ჟორჟ ვეას ხიფათის განმუხტვას ცდილობდა, მაგრამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

მოგვიანებით სტუმრებს გაუმართლდათ. „მილანის" ხორვატმა ნახევარმცველმა ზვონიმირ ბობანმა ხარიხას გაარტყა ბურთი, ფრანგმა ზანგმა იბრჰიმ ბამ კი დანანებით დაინახა, როგორ გამოიტანეს მისი დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ხაზიდან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 10 | 8 | 2 | 0 | 25:11 | 26 |
| იუვენტუსი | 10 | 6 | 4 | 0 | 23:7 | 22 |
| რომა | 10 | 5 | 4 | 1 | 20:10 | 19 |
| უდინეზე | 10 | 6 | 1 | 3 | 21:19 | 19 |
| პარმა | 10 | 5 | 3 | 2 | 17:8 | 18 |
| ლაციო | 10 | 4 | 3 | 3 | 15:11 | 15 |
| სამპდორია | 10 | 4 | 3 | 3 | 16:17 | 15 |
| ვიჩენცა | 10 | 4 | 3 | 3 | 15:17 | 15 |
| ფიორენტინა | 10 | 3 | 4 | 3 | 18:13 | 13 |
| მილანი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:11 | 13 |
| ატალანტა | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | 11 |
| ემპოლი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:17 | 10 |
| ბრეშია | 10 | 3 | 1 | 6 | 13:19 | 10 |
| ბარი | 10 | 3 | 1 | 6 | 10:20 | 10 |
| ლეჩე | 10 | 3 | 1 | 6 | 9:19 | 10 |
| ბოლონია | 10 | 1 | 5 | 4 | 15:18 | 8 |
| პიაჩენცა | 10 | 1 | 4 | 5 | 8:16 | 7 |
| ნაპოლი | 10 | 1 | 2 | 7 | 8:23 | 5 |

### სერია B

მე-12 ტური. ფოჯა — ლუკეზე 2:2; ანკონა — სალერნიტანა 3:3; კალიარი — რეჯინა 2:0; დი სანგრო — რეჯანა 2:2; კიევო — პერუჯა 1:1; ფ. ანდრია — ვერონა 1:0; ჯენოა — მონცა 5:1; პესკარა — პადოვა 4:0; ტორინო — ტრევიზო 4:0; ვენეცია — რავენა 2:1

## ესპანეთი

XIV ტური

**სპორტინგი 2:3 ბეტისი**
0:1 ალვარესი (12), 1:1 ლედიახოვი (32), 1:2 ალფონსო (36), 2:2 ტროტა (40), 2:3 ალფონსო (69)

**სოსიედადი 5:1 კომპოსტელა**
1:0 კრაიოვეანუ (18), 1:1 ბელიდო (25), 2:1 კოვაჩევიჩი (37), 3:1 ადეპოჟუ (38), 4:1 კრაიოვეანუ (60), 5:1 გრსია (90პ)

**ვალენსია 0:1 სალამანკა**
0:1 რესენდე (60)

**დეპორტივო 2:2 ატლეტიკო**
1:0 ლარდინი (8), 1:1 მადარი (39), 2:1 ფრასკარელი (80), 2:2 ნაიბეტი (85)

**ტენერიფე 0:0 ესპანიოლი**

**მალიორკა 0:2 სარაგოსა**
0:1 სოლერი (37), 0:2 გონსალესი (90)

**რასინგი 0:0 ოვიედო**

**რეალი 3:1 სელტა**
1:0 მიატოვიჩი (44), 2:0 რაული (67), 3:0 ზეედორფი (71), 3:1 გუდელი (87)

**ვალიადოლიდი 3:0 ბილბაო**
1:0, 2:0 პეტერნაჩი (27, 50პ) 3:0 სარანდონა (78)

**ბარსელონა — მერიდა**
*დღეს გაიმართება*

მადრიდის „რეალი" ცხრილის სათავეში იმტკიცებს ადგილს. გუშინ მან შინ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაამარცხა „სელტა". პირველი ტაიმის დამთავრებას თითქმის აღარაფერი აკლდა, „სამეფო გუნდმა" ნასვი რომ გატეხა. რობერტო კარლოსმა, რომელსაც მუხლის ტრავმის კვალიც არ ეტყობოდა, მარცხნიდან ჩაჩააწოდა ბურთი, პრედრაგ მიატოვიჩმა კი შეტევა წარმატებით დააგვირგვინა.

მეორე ნახევარში, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვების შემდეგ, რაულმა და კლარენს ზეედორფმა ოთხწუთიან მონაკვეთში მოამთავრეს საქმე. „სელტამ" მოგვიანებით ერთი ღირსების გოლი შეაგდო. საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე ვლადიმირ გუდელმა ივარგა. ამ მატჩის შემდეგ სტატისტიკა ასეთია: „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალმა" „სელტა" 38 შეხვედრიდან 32-ჯერ დაამარცხა, ამათგან ბოლო 6 შეხვედრაში ზედიზედ.

გრძელდება „ვალენსიას" უიღბლო დროება. მასავით დაქვეითებულ „სალამანკასთან" თამაშამდე ორი საათით ადრე დაიწყო და მთელი შეხვედრის განმავლობაში გაგრძელდა მასპინძელთა ქომაგების პროტესტი კლუბის პრეზიდენტის ფრანსისკო როიგის მიმართ.

აღსანიშნავია „ვალიადოლიდის" ბრწყინვალე გამარჯვება ბილბაოს „ატლეტიკთან". ორი გოლი ხორვატმა თავდამსხმელმა ალენ პეტერნაჩმა გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 14 | 9 | 4 | 1 | 26:10 | 31 |
| ბარსელონა | 13 | 9 | 1 | 3 | 27:16 | 28 |
| ატლეტიკო | 14 | 7 | 5 | 2 | 32:15 | 26 |
| სოსიედადი | 14 | 7 | 5 | 2 | 21:9 | 26 |
| ესპანიოლი | 14 | 6 | 7 | 1 | 22:8 | 25 |
| სელტა | 14 | 7 | 3 | 4 | 24:18 | 24 |
| ოვიედო | 14 | 5 | 7 | 2 | 16:16 | 22 |
| მალიორკა | 14 | 5 | 6 | 3 | 21:12 | 21 |
| სარაგოსა | 14 | 5 | 5 | 4 | 22:23 | 20 |
| ბეტისი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:20 | 20 |
| ბილბაო | 14 | 4 | 7 | 3 | 15:16 | 19 |
| რასინგი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:18 | 16 |
| მერიდა | 13 | 4 | 4 | 5 | 10:16 | 16 |
| დეპორტივო | 14 | 2 | 8 | 4 | 15:16 | 14 |
| კომპოსტელა | 14 | 3 | 5 | 6 | 20:25 | 14 |
| ტენერიფე | 14 | 3 | 4 | 7 | 12:22 | 13 |
| ვალიადოლიდი | 14 | 3 | 4 | 7 | 12:23 | 13 |
| ვალენსია | 14 | 3 | 2 | 9 | 11:21 | 11 |
| სალამანკა | 14 | 2 | 4 | 8 | 6:18 | 10 |
| სპორტინგი | 14 | 0 | 2 | 12 | 12:34 | 2 |

### მეორე დივიზიონი

მე-16 ტური. ორენსე — ნუმანსია 1:1; ხაენი — ლეიდა 1:2; სერესი — ლას პალმასი 0:3; ელჩე — ვიბარი 0:4; ესტრემადურა — ალბასეტე 2:0; ბადახოსი — ტოლედო 0:1; ლოგრონიესი — ვილიარეალი 3:1; სევილია — რაიო 3:2; ატლეტიკო B — ერკულესი 3:1; ლეგანესი — ოსასუნა 0:0; ალავესი — ლევანტე 1:0

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მთელ ქალაქში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

## ფეხბურთი

# ტოკიოს ერთი დღე

გერმანული დორტმუნდის „ბორუსია“ და ბრაზილიური ბელო ორიზონტეს „კრუზეირო“ ხვალ, ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასისთვის შეებმებიან. ერთ-ერთი მათგანი ეგრეთწოდებული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი გახდება.

საკონტინენტთაშორისო თასზე „ბორუსია“ და „კრუზეირო“ იმიტომ მოხვდნენ, რომ პირველი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელია, მეორე კი სამხრეთ ამერიკის კოპა ლიბერტადორესისა. ამრიგად, უპრესტიჟულესი ტიტულების მფლობელი გუნდები ხვალ მორიგი კაშკაშა მწვერვალის დასაპყრობად შეიმართებიან და თასთა ასეთ ბრწყინვალებაში ცოტა ხნით დაივიწყებენ შინაურ პირველობებს, სადაც ერთობ მოკრძალებულად აქვთ საქმე.

გერმანიის ჩემპიონატში „დორტმუნდი“ 18 გუნდში მეთერთმეტეა, ბრაზილიაში კი „კრუზეირომ“ 26 კონკურენტს შორის მე-19 ადგილი დაიკავა და ბუნებრივია ნახევარფინალებს მიღმა დარჩა.

ტოკიოში ვერც სასურველ შემადგენლობას გაიყვანს რომელიმე. გერმანელებს დაშავებული მათიას ზამერი და იურგენ კოლერი რომ არ ეყოლებათ, დიდი ხნის ცნობილი ამბავია, კარლ ჰაინც რიდლე კი, მაისში, ჩემპიონთა თასის ფინალში ორი გოლი რომ გაიტანა, რა ხანია, „ლივერპულში“ გადავიდა. დორტმუნდელებმა თავიანთ გულშემატკივრებს ლიგის წლევანდელ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებით კიდევ ცოტა მოულბეს გული, თორემ როგორც ზევით მოგახსენეთ, შინაურ პირველობაზე უხეიროდ მიჩანჩალებენ. ლიგის ბოლო შეხვედრაში მათ „გალათასარაის“ 4:1 სძლიეს და მეოთხედფინალში დაიბევეს ადგილი, მაგრამ გამარჯვებამ მსხვერპლი მოითხოვა, საზარდული დაიშავა გუნდის ნიჭიერმა რუსმა ფეხბურთელმა ვლადიმირ ბუტმა, რომელიც „კრუზეიროსთან“ ვერ ითამაშებს.

„კრუზეირო“ ბრაზილიური ლიგიდან გავარდნას ძლივს გადარჩა და ახლა მიზნად საკონტინენტთაშირისო თასის მოპოვება აქვს დასახული. საამისოდ ბელო ორიზონტეში ახალი ფეხბურთელების სესხება დაიწყეს. ისინი ქმნიან გუნდს ერთი თამაშისთვის. გეგმა ძირითადად განახორციელეს. ერთ მატჩში თამაშზე ვერ დაიყაბულეს მხოლოდ თავდამსხმელი პილინია, რომელიც ზაფხულზე ესპანურ „მალიორკაში“ გადავიდა. სამაგიეროდ, „კრუზეიროში“ ითამაშებენ სახელგანთქმული ბებეტო, „ვიქტორიას“ ფეხბურთელი, სამშობლოში ერთი კვირის წინ რომ დაბრუნდა ესპანეთიდან, სადაც „დეპორტივოში“ მოწყობას ლამობდა, „ბოტაფოგოს“ მოთამაშე გონსალვეში და „კორინთიანსის“ დონიზეტე.

აღსანიშნავია, სამივე ისეთ გუნდში თამაშობს, ბრაზილიის პირველობის ნახევარფინალს მიღმა რომ დარჩა. გონსალვეში და დონიზეტე ტოკიოდან დაბრუნებისთანავე თავიანთ კლუბებს მიაშურებენ, ბებეტოს კი თავისი გეგმები აქვს.

— „კრუზეიროში“ ერთი თვის წინ გადავედი და კარგი შანსი მაქვს მომავალი წელიწადიც აქ გავატარო — უთხრა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა გმირმა გაზეთ „იომიურის“ — ახლა ერთ ადგილზე ფეხის მოკიდება და ნაკრებში ადგილის დაბევებაზე ზრუნვა მჭირდება.

დღეს ბებეტო ნაკრებზე უფრო თამამად ლაპარაკობს, რადგან გასულ კვირაში ბრაზილიელთა ეროვნული გუნდის მწვრთნელმა მარიო ზაგალომ 33 წლის თავდამსხმელი საწვრთნელ შეკრებაზე გამოიძახა. ბებეტოს ნაკრებში ორ წელიწადზე მეტია არ უთამაშია.

ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე ხვალ განსხვავებული გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს. ფეხბურთისა და მატჩისადმი მათი დამოკიდებულება რომ სხვადასხვანაირია, იქედანაც ჩანს, რომ „კრუზეირო“ უკვე რამდენიმე კვირაა იაპონიაშია, „დორტმუნდი“ კი სულ ორიოდ დღეა, რაც ჩაფრინდა. მიუხედავად კოლერის და ზამერის არყოლისა, გერმანელებს მაინც არ აკლდებათ ვარსკვლავები: უცხოელები ბრაზილიელი ჟულიო სეზარი, პორტუგალიელი პაულუ სოუზა, შვეიცარიელი შტეფან შაპუიზა, შოტლანდიელი სკოტ ბუთი, გერმანელები შტეფან როიტერი, ანდრეას მიოლერი, შტეფან ფროინდი და ჰაიკო ჰერლიხი.

ბოლოს კი თავად თასზე. ფიფას გუშინდელი განცხადების თანახმად, მომავალში საკონტინენტთაშორისო თასი მსოფლიოს ჩემპიონთა ლიგად არ იქცევა. მსოფლიო ფეხბურთის ცენტრში შეისწავლეს შესული წინადადებები, რომელთაც უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონიც უჭერდა მხარს. საუბარი იყო ისეთი შეჯიბრების დაფუძნებაზე, რომელშიც ყველა კონტინენტის კლუბები მიიღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ფიფამ ეს აზრი უარჰყო. „ტოიოტას თასს“ არ შეცვლიან. შეგახსენებთ, რომ საკონტინენტთაშორისო თასის სპონსორობა „ტოიოტამ“ 1980 წელს ითავა და კონტრაქტის თანახმად 2002 წლამდე ყველაფერი უცვლელად უნდა დარჩეს.



1996 წელი: იუვენტუსელები ბოკშიჩი და დელ პიერო თასით

და მაინც, დეკემბერში, ჟენევაში, უეფას თავყრილობაა დანიშნული, სადაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის თემა დღის წესრიგში აქვთ შეტანილი. უეფას წევრ ფედერაციებს ამ საკითხზე აზრის შეტანა ჯერ კიდევ სექტემბერში დაევალათ. ახლა განხილვა მოეწყობა.

იყო სხვადასხვა მოსაზრება. მაგალითად, ლაპარაკობენ რვაგუნდიან ტურნირზე, სადაც ექვსნი, ექვსივე კონფედერაციის წარმომადგენელნი იქნებოდნენ, ორნი კი მასპინძელი და წინა ჩემპიონი. პროექტის თანახმად ეს შეჯიბრება ორ წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს და ასე, 7-10 დღეს უნდა გაგრძელდეს.

ეს იდეა აფრიკელთა და აზიელთათვის ზედგამოჭრილია. ისინი იშოვნიან სპონსორებს, გაიზრდიან შემოსავალს.

ამ იდეას ემხრობა იუჰანსონი, რომელსაც აფრიკელთა და აზიელთა ხმები სჭირდება. გაისად, ზაფხულზე ხომ ფიფას ახალი პრეზიდენტის არჩევნებია.

## ჩოგბურთი

# სირცხვილი ამერიკას!

პარასკევს პირველ მატჩში ამერიკელების მეორე ჩოგანი მაიკლ ჩანგი შვედების პირველს — იონას ბიორკმანს შეება. მასპინძლებს აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ, რადგან დღის მეორე შეხვედრაში მათ მეტოქეებს პიტ სამპრასი — მსოფლიოს პირველი ჩოგანი და მასთან ერთად პირველი ქულაც ჯიბეში ეგულებოდათ. ორივე ჩოგბურთელმა ნერვიულად დაიწყო თამაში — ორმაგი და უნებლიე შეცდომებიც ბლომად დაუშვეს, მაგრამ პირველი ხელის ბოლოს ბიორკმანმა მეტოქის ერთ ბრეიკს ორით უპასუხა და საათზე მეტხანს გაწელილი პარტია 7:5 მოიგო. იმის ნაცვლად, რომ პირველი წარმატების შემდეგ შვედს თავდაჯერებულად ეთამაშა, პირიქით, თითქოს ხელ-ფეხი შეებორკა — მეორე სეტში ჩანგმა 25 წუთში იმარჯვა. ამერიკელი მესამე სეტშიც დაწინაურდა ერთი ბრეიკით, მაგრამ 3:2-ზე მის სასარგებლოდ ერთმა არაჩვეულებრივმა გათამაშებამ მატჩში საბოლოო გარდატეხა შეიტანა — ბიორკმანი ჩანგის მოწოდებაზე მიღებისთანავე ბადესთან გაიქცა, მაგრამ ამერიკელმა ბურთი თავზე გადაუგდო და შემტევი პოზიცია თავად დაიკავა. შვედმა ბურთს ტრიბუნებთანღა მოუსწრო და კორტისკენ ზურგშებრუნებულმა მაღალი დარტყმით უკან მოაბრუნა, მერე კი მეტოქის უძლიერესი სმეშიც აიღო და ისევ ბადესთან გავარდა, სადაც ფეხი დაუცდა. ჩანგმა კიდევ ერთი აბრაგანი დარტყა და თითქოს ქულა იოლად უნდა მოეპოვებინა, მაგრამ შვედი ბურთს როგორღაც მისწვდა, მერე კი მეტოქეს შემოკლებული გადმოუგდო. ამჯერად ზღართანი ჩანგმა გაადინა და თან დარტყმაც გადააცილა უკანა ხაზს. ბიორკმანმა მაშინვე ბრეიკიც გააკეთა, მერე სამი ეისიც მოაწოდა და ზედიზედ ხუთი გეიმი და მასთან ერთად მესამე ხელიც მოიგო — 6:3. ჩოგბურთში უდიდეს მებრძოლად ცნობილი ჩანგი მეოთხე პარტიაში გატეხილი ჩანდა და აღმაფრენით მოთამაშე შვედმაც 2 საათსა და 55 წუთში 7:5, 1:6, 6:3, 6:3 მოიგო.

მეორე მატჩში მსოფლიოს 25-ე ჩოგან მაგნუს ლარსონს ერთი შეხედვით შეუძლებელი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი — მისი მეტოქე ხომ თვით პიტ სამპრასი იყო. მაგრამ ამავე დროს ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ლარსონი ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელმაც ამერიკელის დამარცხება 1997-ში ორჯერ შეძლო. პირველი ხელის მერვე გეიმში დაჭერობანა გაიმართა — შვედი პირველ კვადრატში მოწოდებულს იგებდა, ამერიკელი — მეორეში. ათიოდე წუთის შემდეგ ამ გართობას სამპრასმა მოუღო ბოლო — ბრეიკი გააკეთა და 5:3 დაწინაურდა. ლარსონმა ორი სეტ-პოინტი კი გადაარჩინა, მაგრამ ხელი მაინც წააგო. მეორე პარტია შვედმა უკეთ დაიწყო და თუ მეტოქის მოწოდებაზე მაინცდამაინც ვერ ხეირობდა, თავისას ძალზე იოლად იგებდა. ამერიკელს თანდათან თითქოს დაღლა დაეტყო, 4:3-ზე კი ექიმიც მოითხოვა. სამპრასს დახმარება ორი გეიმის შემდეგ აღმოუჩინეს — შავი წუღები გახადეს და ფეხი საფუძვლიანად დაუფარეს სახვევებით. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თამაში გააგრძელა, მაგრამ ორმეტრიან შვედთან გამკლავება უკვე ძალზე უჭირდა. მეთორმეტე გეიმში მას სამი სეტ-პოინტის გადარჩენამაც მოუწია, თუმცა ტაი-ბრეიკს მაინც გამოჰკრა ხელი. აქ სამპრასმა მეტოქის დასაშინებლად თავისი საფირმო „სლემდანქის“ — ნახტომში სმეშის დარტყმა მოინდომა, მაგრამ ბურთი კარგა მანძილით ააცილა კორტს და მერე ზედიზედ ხუთი ქულაც წააგო. ლარსონმა მრისხანე მეტოქეს ბრეიკი მესამე ხელის პირველივე გეიმში რომ გაუკეთა, ფეხმტკივანმა ამერიკელმა კაპიტან ტომ გალიქსონთან ითათბირა და ორიოდ გეიმში თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა — 3:6, 7:6 (7:1), 2:1 ლარსონის სასარგებლოდ.

ამერიკელების უკანასკნელი შანსი შაბათს წყვილების შეხვედრა იყო, მაგრამ შვედების ახალმა კერპმა — იონას ბიორკმანმა ნიკლას კურტისთან ერთად ტოდ მარტინისა და ჯონათან სტარკის დუეტი სამ სეტში 6:4, 6:4, 6:4 დაამარცხა და თავისიანებს დევისის თასი მეექვსედ მოაგებინა, კვირას გასამართი შეხვედრების შედეგთა მიუხედავად.

გუშინდელი შეხვედრები: იონას ბიორკმანი — ჯონათან სტარკი 6:1, 6:1 და მაგნუს ლარსონი — მაიკლ ჩანგი 7:6 (7:4), 6:7 (8:6), 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**

## რაგბი

### საქართველოს XXX პირველობის დიდი ფინალი

დარი ვაკეში მზიანი იდგა. ხალხი საშინაო მატჩის კვალობაზე ძალიან ბევრი მოგროვილიყო. უმეტესობა შესანიშნავ გუნებაზე ბრძანდებოდა. რაგინდარა ბურთაობა და მათ შორის რაგბიც თეატრალურ სიჩუმეში ერთობ უგემური სათამაშოა, აქ კი საზოგადოებას მოასპარეზეებთან გულითადი კონტაქტი გაება. მოედანზე არაფერი მოხდებოდა, ტრიბუნაზე გამოძახილი რომ არ მოყოლოდა.

„აია“ დედაქალაქს ავტობუსით ჩამოვიდა. თან ბევრი ქომაგი, მეტადრე კი წვრილფეხობა იახლა. თბილისელი ქუთაისელებიც მრავლად მივიდნენ ვაკეში. სტადიონს არც მორაგბე-ყოფილი პარლამენტარები მოუსაკლისებია. „აიას“ მოთამაშეთა ნაწილს თავები გადაეხოტრა, რაც გუნდის ერთსულოვნებაზე მეტყველებს. სხვაფრივ, გუნდს ძლიერ შვენოდა საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ნაჩუქარი ყვითელი ტანისამოსი.

„ყოჩებს“ ტრადიციული, წითელ-შავთეთრი კვართები ეცვათ. ლიდერთაგან მათ აკლდათ მხოლოდ ფლანკერი ლეჟავა. სამაგიეროდ, ამ შემოდგომაზე პირველად მოხდა, რომ თხუთმეტეულში ეყენათ გამობრძმედილი მოთამაშეები ლიპარტელიანი, გიორგობიანი და კობახიძე. „აიას“ არავინ აკლდა იმათგან, ვინც დღესდღეობით ვარჯიშობს და გუნდში მოთამაშედ ირიცხება.

მასპინძლებმა უჩვეულოდ აგრესიულად დაიწყეს. საწყისი პინგ-პონგის შედეგად საჯარიმოც დაიმსახურეს, მაგრამ ტეფნაძემ, ვისაც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა დაბევებული ჰქონდა, მაგრამ ამის გამო ალბათ არა უწყოდა რა, 45 მეტრიდან უხეიროდ დაარტყა. და მაინც, „ყოჩები“ „აიას“ ლელოსთან დაბანაკდნენ. სტუმრებმა ტეფნაძის ორი მიხდომა მოიგერიეს, მაჩიტიძე ერთხელ დააკავეს, მაგრამ მხეიძემ ლელო მაინც გაუტანათ მოკლე ფრთაზე 5:0.



რატი ურუშაძე დერეფანში ბატონობდა
ბადრი კეთილაძის ფოტო

მერე ბარემ ათი წუთი თამაში კიდევ ქუთათურთა ნახევარზე გაგრძელდა. ურუშაძე მაშინაც და მერეც ორი ხელით იგებდა დერეფანს, რაც თბილისელთათვის სოლიდური შესატევი პლაცდარმი იყო. „ყოჩები“ მძლავრობდნენ, მაგრამ „აიამ“ ერთი-ორი კარგი კონტრ-შეტევა მაინც განახორციელა.

მე-15 წუთზე შვანგირაძემ 28 მეტრიდან გააფუჭა გასატანი საჯარიმო, მერე შერვაშიძეს არეკნი მოეჭრა, ყველაზე სახიფათო მომენტი კი მე-20 წუთზე შეიქმნა: ტეფნაძეს არეკნი დაუფარეს, გაბრიჩიძემ გარღვევა მოაწყო, მას ხამაშურიძე მიყვა და ლელომდე 15 მეტრი დააკლდა. საჯარიმო „აიამ“ კარში არ დაარტყა, დამუშავებულ კომბინაციაში კი ფრანგმა მსაჯმა ბლოკირება შენიშნა და სტუმრებს ბურთი ჩამოართვა.

მერე ისევ „ყოჩების“ ჯერი მოვიდა. ჭეიშვილმა მეტოქეს გადაცემა ჩაუჭრა. ტეფნაძემ უშველებელი აბრაგანი სცადა. ბურთი თბილისელებს დარჩათ. ხუთმეტრა შერკინებიდან ტეფნაძემ ძალზედ შორს მიაწოდა ბურთი მაჩიტიძეს, ვინაც განდაგან შეიჭრა ლელოში 12:0.

„აიას“ ზედიზედ სამი საჯარიმო მიეცა. სტუმრებმა ბურთი ორჯერ გაათამაშეს და ვეტერან ფხაკაძის ძალისხმევით მიზანთანაც ახლოს იყვნენ: ერთი ზედახორა ძელებს შორისაც კი იყო, მაგრამ ხამაშურიძის მიხდომაც საჯარიმოთი რომ დასრულდა, ქუთათურები სამ ქულას დაჯერდნენ 12:3.

შესვენებამდე ისე „ყოჩები“: ტეფნაძე, საკანდელიძე, ფირიაშვილი უტევდნენ. ტეფნაძემ 38-ე წუთზე ლელოდან 5 მეტრის მოშორებით დანიშნული საჯარიმო 20 მეტრით უკან წაიღო, მაგრამ მარცხენა ფრთიდან ისევ მოეცარა ფეხი. მერე „აიამ“ 25-მეტრა ჯარიმა კიდეზე გადაიტანა და ზედიზედ სამ შერკინებაში თბილისელებს ისე მაგრად მიაწვა, რომ ამათ მწყობრის მოტრიალება დაიწყეს, მაგრამ მთელი ეს ამბავი შვანგირაძის უხეირო არეკნით დასრულდა.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე ქუთაისელებმა შეუბერეს. ახლოდან გაათამაშეს საჯარიმო, შერკინებიდან კი ლელო ფხაკაძემ გაიტანა. იგი ჩუბინიძემ ვერ გარდასახა მარჯვენა ფრთიდან 12:8.

51-ე წუთზე „ყოჩებმა“ ბურთი მეტოქის ზურგში გაგზავნეს. სტუმრები მოტყუვდნენ. ბურთს მხეიძე დაეუფლა, მისი რეიდი კი კობახიძემ გააგრძელა. გრძელი პასის წყალობით პოლიტექნიკოსებმა მარჯვენა ფრთაზე იშვიათი რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს, მაგრამ შიგნით შეტეხეს (?!). „აია“ დროით ვერ დაეწყო და „ყოჩებმაც“ იერიში ზედიზედ ოთხი ფაზა გაახერხეს.

ყველა ერთობ სახიფათო იყო. ბოლოს მსაჯმა ჯარიმა კი აღნუსხა, მაგრამ მასპინძლებმა კარში დარტყმის მაგივრად ბურთი კადნიერად ისევ კიდეზე გადაიტანეს, თითქო ბარაქიანად იგებდნენ. ეს მათ კინაღამ ძვირად დაუჯდათ: სამი წუთის შემდეგ ხამაშურიძემ „ყოჩებს“ გადაცემა ჩაუჭრა, მაგრამ ბურთი წინ დაუვარდა. თბილისელთა ბედად მერე ვერც სტუმართა მესამე დამრტყმელმა შერვაშიძემ ივარგა 30 მეტრიდან და „აიამ“ მატჩის გარდატეხის ბოლო შანსი დაკარგა.

კობახიძემ მარცხნიდან 20-მეტრა საჯარიმოთი სხვაობა ერთ გარდასახულ ლელომდე გაზარდა 15:8. „აიამ“ შერვაშიძისა და ხამაშურიძის მცდელობით კიდეც სცადა შეტევა, მაგრამ მასპინძლებისა არ იყოს, ზომიერებამ მასაც ულალატა: კიდეზე გაგზავნილი ბურთი უქმი ბურთის ხაზს გადაცდა. ამასობაში „ყოჩებმა“ თამაშში ახალი ძალები ჩააბეს და მეტოქის მხარეს საფუძვლიანად გადავიდნენ. განსაკუთრებით ეფექტური გამოვიდა კობახიძის მიერ ბურთი გადაკიდება, აღება და მეტოქის ტანკივით გატანა.

სტუმრები გატეხილი ჩანდნენ. ბებერმა „ყოჩმა“ ჭეიშვილმა ფეხით ისე მუხთლად გააგორა ბურთი, რომ იგი კიდეზე ზედ ალამთან გადავიდა. გამოხდა წუთი და „აიას“ ლელოსთან გამართული ჯაჯგურის შემდეგ კობახიძე ლელოში შევარდა 20:8.

ბოლომდე კიდევ ათი წუთი რჩებოდა. „ყოჩები“ უკვე ძალდაუტანებლად ბურთაობდნენ. 85-ე წუთზე ლელომდე სამჯერ იოტისოდენი ვერ ეყოთ. ვერც მაჩიტიძის არეკნი გავიდა კარში. ბოლოს ისევ შერვაშიძემ და ხამაშურიძემ გაინავარდეს, მაგრამ ამითი აღარაფერი შეცვლილა.

„ყოჩები“ ჩემპიონები გახდნენ. ქუთათურებმა მათ გამარჯვება კაცურად მიულოცეს. „აია“ გაისად უფრო გაძლიერდება, ბესიკ ხამაშურიძის სახით კი ქართულ რაგბს იშვიათი დამრტყმელი ძალა ეზრდება!

**კოლა მაჭარაშვილი**

# „ყოჩებს“ ჩემპიონობა, „აიას“ იმედი!

შაბათს ლონდონში: ინგლისი — სამხრეთი აფრიკა 11:29 (ტვიკნემში); უელსი — ახალი ზელანდია 7:42 (უემბლიზე)

### „აზოტის“ მუქთი ბრინჯაო

ცნობილი ამბავია, რომ მცირე ფინალს ანუ III ადგილის თამაშს ყოველთვის აკლია ემოციური მუხტი. და მაინც, პლეი-ოფის შემოღებისთვის ავანგარდში მებრძოლი „ლოკომოტივი“ ბრინჯაოს მედლების საცილოდ რომ აღარ ეწვია რუსთავის „აზოტს“, გულში ყველას ხინჯი დაუტოვა. რკინიგზელთა გამოუცხადებლობის ვერსიაც არ ახალი, ძველი იყო — ტრავმების გამო გუნდი ვერ შევკრიბეთო.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29